"Autopoetic Selfhood and the Paternal Archetype in Zviad Gamsakhurdia's 'Luxland' Narrative."

ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული თვითრეპრეზენტაცია: ავტოპორტრეტი და მამის არქეტიპი ავტობიოგრაფიულ ზღაპარში „ლუქსლანდიური ამბავი"

Ana Imnadze
Doctor of Philology,
Associated Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze St., No. 53, 1400, Georgia,
+995577922552, pr@gu.edu.ge
http://orcid.org/0000-0003-3947-0352

Abstract. This article examines Zviad Gamsakhurdia's autobiographical narrative in the fairy tale Luxlandian Story, highlighting his literary self-representation, moral stance, and spiritual traumas. The analysis is grounded in the allegorical structure of the text, the role of characters, and the significance of the paternal archetype and the authorial alter ego. The study emphasizes that Luxlandia constitutes not only a fantastical space but also a symbolic reflection of Georgia's historical and political context, where the protagonist Yaleni embodies the dynamics of national trauma and personal ethical choices. Particular attention is given to the paternal archetype as a carrier of spiritual, moral, and national memory, and to the protagonist's individuation process. The article integrates autobiographical, psychoanalytic, and allegorical approaches, demonstrating that the fairy tale functions as a morally, historically, and politically charged text, intertwining personal experience, ethical values, and the exploration of national spiritual identity.

Keywords: Zviad Gamsakhurdia, Luxlandian Story, autobiography, allegory, paternal archetype, Georgian literature, spiritual struggle.

ანა იმნაძე
ფილოლოგიის დოქტორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No 53, 1400, საქართველო,
+995577922552, pr@gu.edu.ge
http://orcid.org/0000-0003-3947-0352

აბსტრაქტი. სტატია იკვლევს ზვიად გამსახურდიას ავტობიოგრაფიულ ნარატივს ზღაპარში „ლუქსლანდიური ამბავი" და ავლენს მის ლიტერატურულ თვითრეპრეზენტაციას, მორალურ პოზიციას და სულიერ ტრავმებს. ანალიზი ეფუძნება ტექსტის ალეგორიულობას, პერსონაჟების სტრუქტურას, მამის არქეტიპისა და ავტოპორტრეტული ელემენტების როლს. ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ „ლუქსლანდია" წარმოადგენს არა მხოლოდ ზღაპრულ სივრცეს, არამედ საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ ალუზიას, სადაც, მთავარი პერსონაჟი, იალენი, ილუსტრირებს ეროვნული

ტრავმისა და პიროვნული არჩევანის დინამიკას. ფოკუსი არის მამის არქეტიპზე, როგორც სულიერ, მორალურ და ეროვნული მეხსიერების მატარებელზე და გმირის ინდივიდუაციის პროცესზე. სტატიაში ვაკეთებთ ავტობიოგრაფიულ, ფსიქოანალიტიკურ და ალეგორიულ ანალიზს, რაც საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ ზღაპარი როგორც მორალური, ისტორიული და პოლიტიკურად დატვირთული ტექსტი, რომელიც აერთიანებს პიროვნულ გამოცდილებას, ეთიკურ ღირებულებებს და ეროვნული სულიერი იდენტობის კვლევას.

საკვანძო სიტყვები: ზვიად გამსახურდია, ლუქსლანდიური ამბავი, ავტობიოგრაფია, ალეგორია, მამის არქეტიპი, ქართული ლიტერატურა, სულიერი ბრძოლა.

შესავალი. ლიტერატურულ სივრცეში ავტობიოგრაფიული ზღაპარი წარმოადგენს იმ ნარატიულ ფორმას, რომელიც აერთიანებს ავტორის პირად გამოცდილებას, სულიერ ტრავმებსა და ღირებულებით პოზიციებს ზღაპრული, ალეგორიული სტრუქტურის ფარგლებში. ეს ფორმა არ არის მხოლოდ ფანტასტიკის ჟანრი, იგი არის თვითრეპრეზენტაციის ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი გზა, სადაც ავტორი საკუთარ თავს წარმოსახავს როგორც პერსონაჟს, ხოლო რეალურ მოვლენებს, როგორც სიმბოლურ სიუჟეტს.

ავტობიოგრაფიული ზღაპარი ხშირად იყენებს მითურ სტრუქტურებს, არქეტიპულ ფიგურებს და ალეგორიულ სივრცეებს, რათა გადმოსცეს ის, რაც პირდაპირი თხრობით ვერ ითქმის: შინაგანი ბრძოლა, მემკვიდრეობით მიღებული ტვირთი, საზოგადოებრივი გაუცხოება და სულიერი მოწოდება. ამ ფორმით ავტორი ქმნის „შიდა ეპოსს“, სადაც მისი პიროვნული ტრაექტორია გარდაიქმნება კოლექტიური გამოცდილების მეტაფორად.

ზღაპრის ფორმა ავტორს აძლევს საშუალებას, თავი განარიდოს ბიოგრაფიულ დეტალებს, მაგრამ, ამავე დროს, გაამძაფროს ემოციური და სულიერი შრე. პერსონაჟები, რომლებიც თითქოს ფანტასტიკურ სამყაროში მოქმედებენ, რეალურად ასახავენ ავტორის შინაგან მდგომარეობას, მის ურთიერთობას მემკვიდრეობასთან, საზოგადოებასთან და ისტორიასთან. ამგვარად, ავტობიოგრაფიული ზღაპარი იქცევა ლიტერატურულ ალქიმიად, სადაც პირადი ტრავმა გარდაიქმნება სულიერ გზავნილად.

ზვიად გამსახურდიას „ლუქსლანდიური ამბავი“ ამ ფორმის ერთ-ერთი მაგალითია. ტექსტი, რომელიც ვითარდება ზღაპრულ სივრცეში, ლუქსლანდიაში, რეალურად, წარმოადგენს საქართველოს ალეგორიულ მოდელს. მთავარი პერსონაჟი, იალენი, ავტორის ალტერ ეგოა, ხოლო მისი გზა, მამის გარდაცვალებიდან გმირობის გზამდე, ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული ტრაექტორიის სიმბოლური გამოხატულება.

მეთოდოლოგია. სტატია ეფუძნება რენე უელეკის „გარეგანი მიზეზების“ თეორიას, როლან ბარტის ინდივიდუაციის კონცეფციას და ჯოზეფ კემპბელის გმირის გზის არქეტიპს. ამ მიდგომებით ტექსტი განიხილება როგორც ავტორის ბიოგრაფიული და კულტურული თვითრეპრეზენტაცია.

რენე უელეკის მიხედვით, ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები ყურადღებას ამახვილებს იმ გარემო პირობებზე, რომელშიც ნაწარმოები იქმნება - „გარეგანი მიზეზებზე“, რომლებიც მოიცავს როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე კონტექსტს (უელეკი, 1998, გვ. 38). ამ მიდგომის ფარგლებში ბიოგრაფიული და ისტორიულ-კონტექსტუალური ანალიზი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ავტორი და პერსონაჟი ერთმანეთს ემთხვევა ან მათ შორის ინტენსიური დიალოგი ვითარდება.

შედეგები და მსჯელობა. *ავტორის თვითრეპრეზენტაცია და ტექსტის ალეგორიულობა.* ზვიად გამსახურდია (1939–1993) წარმოადგენს ქართული

ლიტერატურისა და პოლიტიკის ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურას, რომლის შემოქმედება ხშირად უკავშირდება ავტობიოგრაფიულობასა და თვითრეფლექსიას. მისი ლიტერატურული სივრცე, კერძოდ ზღაპრული ნარატივები, იქცევა თვითრეპრეზენტაციისა და მსოფლმხედველობის გამოხატვის პლატფორმად. ავტობიოგრაფიული ზღაპარი „ლუქსლანდიური ამბავი“ (გამსახურდია, 1990) წარმოადგენს ტექსტს, რომელიც ერთდროულად მხატვრული, ეთიკური და პოლიტიკური სივრცეა, სადაც ავტორი გამოხატავს სულიერ ტრავმებს, მორალურ პოზიციას, პოლიტიკურ ტრაგიზმსა და მარტოობის განცდას.

ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში ლიტერატურული სივრცე იქცევა თვითრეპრეზენტაციისა და მსოფლმხედველობის გამოხატვის პლატფორმად. მისი ალეგორიული ტექსტი „ლუქსლანდიური ამბავი“ შეიძლება ჩაითვალოს ავტობიოგრაფიულ თხრობად, სადაც აშკარად იკითხება ავტორის მცდელობა, გამოხატოს სულიერი ტრავმები, მორალური პოზიცია, პოლიტიკური ტრაგიზმი და მარტოობის განცდა.

„ლუქსლანდია“, როგორც მეტაფორული სივრცე, წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს სიმბოლურ მოდელს, არამედ ეთიკური რელატივიზმის ალეგორიას. ტექსტი მიჰყვება კლასიკური ეპიკური ზღაპრის სტრუქტურას, თუმცა განთავსებულია ისტორიულ კონტექსტში, როგორც ანტიუტოპიური ალეგორია. ზღაპრის ფორმა, სიმბოლიზმით გაჯერებული და სტრუქტურულად მარტივი, ავტორისთვის იდეალურია იმ ღრმა ტვირთის გადმოსაცემად, რაც დაკავშირებულია დაპირისპირებასთან, მორალურ განდგომასთან და განდევნილი ლიდერის როლთან.

მთავარი პერსონაჟი, იალენი, წარმოადგენს ინდივიდს, რომელიც აღმოჩნდება ფარისევლური საზოგადოების სამიზნეში. მისი გზა ეხმიანება ჯოზეფ კემპბელის გმირის არქეტიპს: მამის დაკარგვა, მოწოდება, შინაგანი ტრანსფორმაცია და მსხვერპლი. ეს გზა იქცევა ერის ტრავმის სიმბოლურ მოდელად, ხოლო პერსონაჟის მარტოობა, იმედგაცრუება და ღალატი, ლიტერატურულ მოწამეობრივ ტიპოლოგიად.

ტექსტის ფუნქცია და მნიშვნელობა. „ლუქსლანდიური ამბავი“ არ არის მხოლოდ მხატვრული ტექსტი, ის წარმოადგენს მეხსიერების, ავტორეფლექსიისა და თვითლეგიტიმაციის მცდელობას. ნაწარმოები იკითხება როგორც ისტორიული დოკუმენტი, პოლიტიკურ-ფილოსოფიური განაცხადი და პიროვნული აღსარება. ამ კონტექსტში ლიტერატურული ბიოგრაფიის მეთოდოლოგია არა მხოლოდ გამართლებულად, არამედ აუცილებელ ინსტრუმენტადაც გვევლინება.

ზვიად გამსახურდიას პიროვნული და ინტელექტუალური პორტრეტის ფორმირებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც გენეტიკურ-ოჯახურმა ფონმა, ასევე იმ ისტორიულმა კონტექსტმა, რომელშიც დაიწყო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობა. მისი ფსიქოტიპისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მამის, კონსტანტინე გამსახურდიას, ფიგურამ, რომელიც მრავალგზის აირეკლა როგორც ტექსტებში, ისე მის პოლიტიკურ პოზიციონირებაში. მამის სახე მისთვის იყო ინტელექტუალური ორიენტირი და, ამავე დროს, დაძლევადი სიმბოლო, როგორც სიძლიერის წყარო და პიროვნული დაძაბულობის გამომწვევი მიზეზი.

ზვიად გამსახურდია გაიზარდა ინტელექტუალურად მდიდარ გარემოში. ადრეული ასაკიდანვე ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მამისთვის იგი წარმოადგენდა არა მხოლოდ ბიოლოგიურ მემკვიდრეს, არამედ მისი მისიის გამგრძელებელს. შესაბამისად, კონსტანტინე გამსახურდია მიზანმიმართულად ცდილობდა შვილისთვის გადაეცა ღირსების, დამოუკიდებელი აზროვნებისა და მორალური სიმტკიცის უნარი. ფასეულობები, რომლებიც შემდგომში იქცნენ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ქცევის ბირთვად.

გამსახურდიას ფსიქოლოგიური პორტრეტი მოიცავს შიდა პოლიფონიურობას: მამის სიჩუმე და შვილის რადიკალური ხმიანობა თითქოს ერთმანეთის გაგრძელებაა, თუმცა ამავე დროს დაპირისპირებაც. სწორედ ამ დაძაბულობიდან იბადება ის დრამატურგია, რომელიც თან სდევს მის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ გზას. ამ ფონზე, ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფია ხშირად განიხილება როგორც მამის გზის პარალელური ვექტორი. გზა, რომელიც გადის გაუცხოებაზე, დევნაზე, შემდგომ აღიარებაზე და ტრაგიკულ შეწყვეტაზე. მსგავსება არ არის მხოლოდ ბიოგრაფიული, არამედ ღირებულებით-სიმბოლური: კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები ქმნიან ორმაგ რეფრენსს, მამისა და შვილის უკომპრომისო, ტრაგიკულ გზას ეროვნულ ეპოსში.

„ლუქსლანდიური ამბავი“ ესაა ალეგორიულ-ზღაპრული ტექსტი, სიუჟეტი ვითარდება სინათლის ქვეყანაში, რომელიც ზედაპირულად ზღაპრული სივრცეა, რეალურად კი საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური ალუზია. ლუქსლანდია წარმოდგენილია როგორც „საგმირეთი“, გმირთა დაბადებისა და ბრძოლის ადგილი, ფიზიკურად შემოსაზღვრული თოვლიანი მთებითა და ზღვით, სულიერად კი ღირსებით, მეხსიერებითა და გმირობის ტრადიციით. თუმცა, ტექსტი მკვეთრად ცვლის ტონს: „სინათლის ქვეყანა“ ნელ-ნელა ბნელეთში ეშვება. მისი განადგურების სურვილი აქვს ბნელეთის გველეშაპს (ბოროტების არსებას), რომელიც აერთიანებს როგორც გარე საფრთხეებს, ასევე შიდა განღმრთობილ ძალას, განძიგულას.

განძიგულა წარმოადგენს ნიჰილიზმისა და უნდობლობის ხორცშესხმულ სახეს. ძალას, რომელიც ერს რწმენას აკარგვინებს და შიდა გამოფიტვით განგმირავს. იგი ჩათესა გამდიდრებაზე მეოცნებე კაცმა, იმ ფენის პროტოტიპმა, რომელიც ეროვნულ ღალატს პირად კეთილდღეობაში ხედავდა. ამ კონტექსტში იკვეთება ერის გადაგვარების მეტაფორა და ეს პროცესი იწყება მეხსიერების დაკარგვით, გმირების დავიწყებით და ღალატის სიმტკიცედ აღქმით. ეს არის ავტორისთვის ნამდვილი ტრაგედია - წარსულის უარყოფით გათიშული, შინაგანად დამარცხებული საზოგადოება.

ამ ფონზე იშლება მთავარი პერსონაჟი, იალენი წარმოადგენს ავტორის ავტობიოგრაფიულ ალტერ ეგოს. მამის, ჭარმაგი ოქრომჭედლის, გარდაცვალებისა და ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ, იალენი აცნობიერებს საკუთარ მისიას: სამშობლოს გადარჩენა, თუნდაც სიცოცხლის ფასად. ეს პარალელი პირდაპირ უკავშირდება ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიას: მისი პოლიტიკური საქმიანობა სწორედ მამის გარდაცვალების შემდეგ აქტიურდება. ოქრომჭედლის სახე ტექსტში საკრალიზებულია. იგი სიმბოლოა ისტორიული მეხსიერების დამცველისა და გმირთა წიგნის მცველისა. კონსტანტინე გამსახურდიაც, როგორც ცნობილია, არაერთხელ გახდა საბჭოთა რეჟიმის სამიზნე, თუმცა მორალურად არ დათმო ეროვნული ღირსება.

ზვიად გამსახურდიას „ლუქსლანდიურ ამბავში“ მოხუცი ოქრომჭედლის ფიგურა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და მრავალშრიან არქეტიპს, რომელიც აერთიანებს შემოქმედის, მამის, მეხსიერების მცველისა და სულიერი გზის გამთლიანებლის ფუნქციებს. ლიტერატურულ-მითოლოგიური თვალსაზრისით, ოქრომჭედელი არ არის მხოლოდ ხელოსანი, არამედ ის ფიგურაა, რომელიც გარდაქმნის მატერიას სიმბოლოდ, ხოლო ნივთს სულიერ გზავნილად.

მითოლოგიურ სისტემებში მამის არქეტიპი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფიგურას, რომელიც აერთიანებს ძალაუფლების, სიბრძნის, წესრიგის და მემკვიდრეობის სიმბოლურ ფუნქციებს. იგი ხშირად განიხილება როგორც პირველწყარო, შემოქმედი, რომელიც სამყაროს ფორმას აძლევს და მის სტრუქტურას განსაზღვრავს. ამავე დროს, მამა არის ის ფიგურა, რომელიც გმირს გადასცემს მისიის სიმბოლოს - იქნება ეს იარაღი, სიტყვა, ანდერძი თუ სულიერი ცოდნა.

მითოლოგიურ ტრადიციებში ოქრომჭედელი ხშირად განიხილება როგორც დემიურგი, სამყაროს შემოქმედი, რომელიც ქაოსს ფორმას აძლევს. ძველბერძნულ

მითოლოგიაში მამის არქეტიპი წარმოდგენილია როგორც ზევსი, ცის ღმერთი, რომელიც მართავს წესრიგს და განსაზღვრავს ღვთაებრივ კანონებს. ინდუისტურ ტრადიციაში ამ ფუნქციას ასრულებს ბრაჰმა - შემოქმედი ღმერთი, რომელიც სამყაროს სტრუქტურას აყალიბებს. ქრისტიანულ თეოლოგიაში კი მამა ღმერთი არის აბსოლუტური საწყისი, რომელიც ქმნის სამყაროს და განსაზღვრავს მორალურ საზრისს.

ფროიდის და იუნგის ფსიქოანალიტიკურ თეორიებში მამის არქეტიპი ასოცირდება ავტორიტეტთან, წესრიგთან და სულიერი საზრისის გადაცემასთან. იუნგის მიხედვით, მამა წარმოადგენს „მენტორის“ არქეტიპს, რომელიც გმირს გზას უჩვენებს, მაგრამ ამავე დროს გამოწვევასაც უქმნის. გმირის გზა ხშირად იწყება მამის დაკარგვით ან მის დაძლევით, რაც სიმბოლურად აღნიშნავს ინდივიდუაციის პროცესს, პიროვნების ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ სუბიექტად.

ლიტერატურულ ტექსტებში მამის არქეტიპი ხშირად ასრულებს ინიციაციის ფუნქციას: იგი გმირს გადასცემს მისიის სიმბოლოს, აძლევს ანდერძს და შემდეგ სცილდება სიუჟეტს, რათა გმირმა დამოუკიდებლად გაიაროს განსაცდელის გზა. ეს ფიგურა არ არის მხოლოდ ბიოლოგიური მშობელი, იგი არის სულიერი საზრისის მატარებელი, რომელიც გმირს აძლევს იმ ღირებულებებს, რომელთა დაცვაც განსაზღვრავს მის გმირობას.

„ლუქსლანდიურ ამბავში“ მოხუცი ოქრომჭედელი, იალენის მამა, წარმოდგენილია როგორც საკრალური ფიგურა, რომელსაც გმირთა წიგნის შენახვა აქვს დავალებული. იგი არ გასცემს წიგნის ადგილმდებარეობას, მიუხედავად დევნისა და ტანჯვისა, რაც მიანიშნებს ღირებულებების დაცვის უკომპრომისობაზე. ეს ფიგურა აშკარად ასახავს კონსტანტინე გამსახურდიას ბიოგრაფიულ და სიმბოლურ პარალელს, რომელიც საბჭოთა რეჟიმის პირობებში არაერთხელ გახდა დევნის ობიექტი.

ოქრომჭედლის სახელოსნო ტექსტში წარმოდგენილია როგორც სულიერი სივრცე. ადგილი, სადაც იწრთობა გმირობის არსი, მეხსიერება და რწმენა. მისი სიჩუმე სულიერი წინააღმდეგობის ფორმაა, ხოლო მისი სიკვდილი - გმირის დაბადების წინაპირობა. მამის მიერ იალენისთვის დატოვებული ანდერძი: „გულდამშვიდებული ვტოვებ სოფელს, რადგან ვიცი, რომ სამშობლოს ღირსეული მებრძოლი აღვუზარდე... მაგრამ იცოდე, ეს არ არის საკმარისი. მე ვაჟკაცად გაგზარდე, გმირი კი შენ თვითონ უნდა გახდე...“ იქცევა ზნეობრივ პარაბოლად, რომელიც განსაზღვრავს გმირობის არსს არა როგორც მემკვიდრეობით მოცემულს, არამედ როგორც სულიერი არჩევანის შედეგს. მამის სიკვდილი ტექსტში არ არის დასასრული, არამედ გმირის გზის დასაწყისი, ინიციაციის მომენტი, რომელიც გმირს გადასცემს პასუხისმგებლობას, მაგრამ არა ძალაუფლებას.

ამ არქეტიპში ერთიანდება სიბერე, სიბრძნე, სიჩუმე და მსხვერპლი - ის ღირებულებები, რომლებიც გმირს სჭირდება გზის გასავლელად. მოხუცი ოქრომჭედელი არის დამაკავშირებელი წარსულსა და მომავალს შორის: იგი გადასცემს ცოდნას ახალ თაობას, მაგრამ თავად რჩება წარსულის მფარველად. ამგვარად, იგი არ არის მხოლოდ პერსონაჟი, არამედ ლიტერატურული და კულტურული ხიდი, რომელიც აერთიანებს ისტორიულ მეხსიერებას, სულიერ ღირებულებებს და გმირობის ტრანსცენდენტულ არსს.

დრამატული პიკი ზღაპარში იალენის „მეგობრის“ მოღალატეობით აღწევს: იგი, განძიგულასგან მოირგებს თანამებრძოლის სახეს, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ზურგში მახვილს ჩასცემს ჭაბუკს. ეს მომენტი გამოხატავს შიდა ღალატის, მოჩვენებითი ერთგულების და ფარული გამცემლების დამანგრეველ ძალას. სიზმრისეული სცენა, უფსკრულში გადაჩეხილი ურჩხულის ხილვა, აფრთხილებს ეიფორიასა და გამარჯვების სიმსხვერპლეზე. გმირობა აქ ხორციელ ზღვარს სცდება და სულიერ ბრძოლაში აგრძელებს არსებობას.თანამებრძოლად მოვლენილი მტრის ხელით ურჩხულთან ბრძოლაში ფიზიკურად კი იღუპება ერიალენი, მაგრამ ფიზიკური გარდაცვალების შემდეგ მოქმედება გადადის სხვა განზომილებაში და ჭაბუკი ერიალენი უხილავ, მრავალწლიან ბრძოლას განაგრძობს ბოროტების წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, მთავარი მაინც ის უხილავი ბრძოლაა,

როცა ერიალენი თავად ჩადის ქვესკნელში და იქიდან, მიწის, სულის წიაღიდან, ცდილობს ბოროტების ამოძირკვას "ბნელეთის გველეშაპმა იცოდა, რომ ერიალენი უეჭველად გამარჯვებული გამოვიდოდა ამ ფარული ბრძოლიდან, ამიტომ აჩქარებდა იგი ურჩხულს, განძიგულაც ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ წელში გაეწყიტა ლუქსლანდიელთა წინააღმდეგობა და ხალხი საბოლოოდ გაენადგურებინა, რათა გამარჯვებულ ჭაბუკს არც სამშობლო და არც ცოცხალი თანამემამულენი აღარ დახვედროდნენ მიწის ზედაპირზე".

ფინალური სცენა, ერიალენის ქორწინება სინათლის დედოფალზე, აღქმულია როგორც თეოფანიური განღმრთობის აქტი. მის წინაშე ქედს იხრის როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი, რაც გამოხატავს ავტორის ხედვას: ერი, რომელიც ღირსეული მსხვერპლით იბრძვის, საბოლოოდ მოიპოვებს როგორც გეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ისე სულიერ თავისუფლებას.

დასკვნა. „ლუქსლანდიური ამბავი" სცდება ჩვეულებრივი ალეგორიის საზღვრებს და წარმოსახვითი სივრცის მეშვეობით წარმოადგენს ავტორის ისტორიულ და სულიერ თვითდამოწმების ინსტრუმენტს. ტექსტში იალენი ფუნქციონირებს როგორც ავტორის შინაგანი დრამატიზმის ლიტერატურული მატერიალიზაცია, რომელიც ვლინდება როგორც მწერლისა და პოლიტიკოსის გზის გადაკვეთა, ასევე მამის გავლენისა და შვილის ზღვრული დანიშნულების სიმბოლურ ჩარჩოში.

ეს არ არის მხოლოდ ავტობიოგრაფიული ან ფსიქოლოგიური გამოსახულება; იალენი წარმოადგენს ტრანსცენდენტური თვითშემოწმების პროცესს, სადაც ავტორის სულიერი, მორალური და ეთიკური მემკვიდრეობა გარდაქმნილია ტექსტურად. პერსონაჟის მარტოობა, შიდა დაპირისპირება და მორალური არჩევანი იქცევა სამოქალაქო ტრაგედიისა და ეროვნული ხსოვნის ალეგორიულ მოდელად, ხოლო მისი ბრძოლა „ბნელეთის გველეშაპის" წინააღმდეგ – ავტორის ხედვით, ერის სულიერი გამძლეობის სიმბოლოდ.

ტექსტის ალეგორიულობა აერთიანებს მრავალშრიან სიმბოლურ განზომილებებს: ის არის როგორც სულიერი სტრუქტურა, სადაც მატერიალურ რეალობასთან დაკავშირებული ძალადობა და დაპირისპირება გარდაიქმნება ზნეობრივ, ეთიკურ და კულტურულ აქტებად, ასევე ისტორიული თვითგადმოცემის პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ავტორი ლიტერატურულ ფორმაში განასახიერებს პიროვნულ და ეროვნულ ტრავმებს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბარტი, რ. (2002). *მითოლოგიები.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი".

გამსახურდია, ზ. (2009). ლუქსლანდიური ამბავი. *ქვაკუთხედი.* №7–10.

გამსახურდია, კ. (1955). *წერილი ვაჟისადმი [ხელნაწერი].* ხელნაწერთა ეროვნული არქივი, თბილისი: საქართველო.

უელეკი, რ. (1998). *ლიტერატურის თეორია.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

Campbell, J. (1949). *The Hero with a Thousand Faces*. Princeton University Press.

Jung, C. G. (1968). *Archetypes and the Collective Unconscious*. Princeton University Press.

Freud, S. (1959). *The Interpretation of Dreams*. New York: Basic Books.

Eliade, M. (1963). *Myth and Reality*. Harper & Row.

Ricoeur, P. (1991). Life in quest of narrative. In D. Wood (Ed.), *On Paul Ricoeur: Narrative and interpretation* (pp. 20–33). Routledge.

Smith, S., & Watson, J. (2010). *Reading autobiography: A guide for interpreting life narratives*. University of Minnesota Press.

REFERENCES

bart'i, r. (2002). *mitologiebi [Mythologies]*. Tbilisi: Publishing House „Intelekti".

gamsakhurdia, z. (2009). lukslandiuri ambavi [Luxlandian story]. *kvak'utkhedi [Kvakutkhedi]*. №7–10.

gamsakhurdia, k'. (1955). *ts'erili vazhisadmi [khelnats'eri] [Letter to his son [Manuscript]*. National Archives of Manuscripts, Tbilisi: Sakartvelo.

uelek'i, r. (1998). *lit'erat'uris teoria [Theory of literature]*. Tbilisi: Publishing House „Metsniereba".

Campbell, J. (1949). *The Hero with a Thousand Faces*. Princeton University Press.

Jung, C. G. (1968). *Archetypes and the Collective Unconscious*. Princeton University Press.

Freud, S. (1959). *The Interpretation of Dreams*. New York: Basic Books.

Eliade, M. (1963). *Myth and Reality*. Harper & Row.

Ricoeur, P. (1991). Life in quest of narrative. In D. Wood (Ed.), *On Paul Ricoeur: Narrative and interpretation* (pp. 20–33). Routledge.

Smith, S., & Watson, J. (2010). *Reading autobiography: A guide for interpreting life narratives*. University of Minnesota Press.